ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2780029

ნომერი: AR1427491

თარიღი : 28.07.2016

გაცემის თარიღი : 16.08.2016

გაცნობის თარიღი : 16.08.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , კვარტალი V , კორპუსი 17 , მიმდებარედ (ნაკვ.16/14) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პეტრე ტრაპაიძე პ/ნ 01031003591
- თბილისი დიღმის მას. V კვ. კორ. 20 ბ. 47

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2501354
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 4.05.2016

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 28.07.2016წ. № AR1427491 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, მასივი დიღომი, კვარტალი V, კორპუსი 17, მიმდებარედ (ნაკვ. 16/14) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N01.13.03.016.014) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 06/06/2016 წ №ბ-128853/07 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევების დასაშვებობის წერილობითი დადასტურებას. განგიმარტავთ, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.09 წ. №57 დადგენილების 62-ე მუხლის

პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ქ. თბილისში (გარდა V კლასის შენობა-ნაგებობებისა) თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, თუმცა სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და დამკვეთს უარი ეთქვა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე, დამკვეთის მიერ ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოში წარდგენის შემდეგ აღნიშნული ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის გარეშე უკვე განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობასა და მისი დასაშვებობის დადასტურებაზე. ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტისაგან განსხვავებით, ნაწარმოები მშენებლობის დადასტურება ხდება წერილობითი ფორმით. განხორციელებული მშენებლობის გათვალისწინებით მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს დამატებითი დოკუმენტაცია. დადასტურების წერილი მშენებლობის ნებართვის განუყოფელი ნაწილია და უნდა დაერთოს ამ დადგენილებით განსაზღვრული სამშენებლო დოკუმენტის ყველა ეგზემპლარს.“

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახური ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, მასივი დიღომი, კვარტალი V, კორპუსი 17, მიმდებარედ (ნაკვ. 16/14) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N01.13.03.016.014) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 06/06/2016 წ №ბ-128853/07 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებელობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობას და მათ დასაშვებობას ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით. წინამდებარე წერილობითი დადასტურება განიხილება პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე სამსახურის 04/05/2016წ. N2501354 ბრძანებასთან ერთად, წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის განუყოფელ ნაწილს და უნდა დაერთოს სამშენებლო დოკუმენტის ყველა ეგზემპლარს.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.